№1195 2015 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ შორის დასადები იმპლემენტაციის ხელშეკრულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №1182 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ შორის დასადები იმპლემენტაციის ხელშეკრულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №1182 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, იმპლემენტაციის ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**